საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ა. ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე მრავალფუნქციური კომერციული ობიექტის (სასტუმრო-რესტორანი "კრუიზი") ძირითად შენობაზე დაბეგმილია სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება. რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შენობაზე ერთი სრულფასოვანი სართულის დამატება

სეისმიური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან ზონაში; ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობა W=70 კგძ /მ2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა q= 50 კგძ/მ2. შესაბამისად ამისა შენობის კონსტრუქციული სისტემა, რომელიც წარმოდგენილია რკინაბეტონის მონოლითური კარკასით, გაანგარიშებულია აღნიშნულ დატვირთვებზე.

ამჟამინდელი მდგომარეობით შენობა წარმოდგენილია ბელიაშვილის ქუჩის მხრიდან 3 მიწისზედა სრულფასოვანი და 2 მიწისქვეშა სართულით და დაფუძნებულია კლდოვან ქანებზე.

არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის ვიზუალური და ინსტრუმენტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შენობის მზიდი კონსტრუქციები იმყოფებიან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, არ შეინიშნება არავითარი ბზარები და დაზიანებები არც კოლონებში და არც გადახურვებში, არ შეიმჩნევა ჯდენის პროცესის მიმდინარეობა.

ყოველივე ზემოთქმულისა და ასევე პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დეტალური გაცნობის და წინასწარი გათვლა-გაანგარიშებების ჩატარების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ დასაშვებია შენობაზე ერთი სართულის დაშენება, რაც დასაბუთებული უნდა იქნას დამატებითი, ზუსტი კონსტრუქციული გათვლებით და დამუშავებული კონსტრუქციული პროექტით. ამასთან სასურველია დაშენებისათვის გამოყენებული იქნას შედარებით მსუბუქი სამშენებლო მასალები როგორც მზიდ, ასევე შემომფარგვლელ კონსტრუქციებში

ექსპერტი კონსტრ. ბ. ბარბაქაძე